

ნიკონი

7

1988



კოტეხიანი ვ. 1988



წუგგონიათ, რახან წყალში ვცხოვრობთ და პირში წყალი გვაქვს დაგუბებული, სულმთლად წყალწალებულნი ვიყოთ. ერთხელ, „თევზის დღეს“, ჩამობრძანდით ჩვენთან და ნახეთ, რა პირობებში ვართ!

მართალია, სიტყვა ნახეთ არ გამოგადგებათ, რადგან სრულ სიბნელეში ვცხოვრობთ: იმდენ ჭუჭყსა და ნაგავს გვიყრიან წყალში, თითქოს ჩვენი საცხოვრებელი მოძრავი სანაგვე ყუთი იყოს!

გაგვიგია, თქვენთან ჭუჩის ერთი მხრიდან მეორეზე გადასვლა ძნელიაო, ჩვენთან კი, ნუ იტყვიოთ, სახლიდან გამოსვლისაც გვეშინია: იმდენი ანკესია ჩამოყრილი, ანკესების პროსპექტი გვეგონებათ!..


ღამით კი ცხვირსაც ვერ ვყოფთ გარეთ: იმდენი ბაღვა ჩამოშვებული, ცას უჯრედებში ვხედავთ!..

მაგრამ ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც ფაბრიკა-ქარხნებისაგან გვჭირს! — ათასგვარი შხამი გვსპობს დედაბუდიანად!..

გვედრებით, ადამიანებო, გვიშველეთ, და პირობას ვდებთ, თევზის მაღაზია „ოკეანეს“ მალე გადაგარქმევინებთ: სანუკვარ „მტკვრად“!

მოისმინა ანდრო კოკოლიამ

ნახ. ბ. ზუბაშვილისა



უსიტყვოდ

სსოპრაბამ გვიჩვენა, რომ ახლებურაობაა როგონება, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა საზოგადოების წინსვლის აუცილებელი პირობაა. არ არის დასამალი და არც ვმაღავთ, რომ ფორმალიზმმა, თვითკმაყოფილებამ, დრომოჭმული მეთოდებით ხელმძღვანელობამ მკვეთრად დაამუხრუჭა სახალხო მეურნეობისა თუ სხვადასხვა წარმოების მთელი რიგი დარგები. დავრწმუნდით, რომ გარდაქმნა აუცილებელია, უნდა დროულად გამოვანაშკაროთ ჩვენი სატიკვარი, რადგან სენს დროულად სჭირდება მკურნალობა და არა მალვა! სიამაყით შეიძლება განვაცხადოთ, რომ უკვე შეინიშნება სასიკეთო ძვრები. ჩვენმა საზოგადოებამ სწორად აღიქვა ბრძოლა ყოველივე დრომოჭმულის წინააღმდეგ. თითქოს ყველანი ვგრძნობდით, რომ არ შეიძლებოდა ასე გავყოლოდით დინებას, რომ აუცილებელი იყო თითოეული ჩვენგანის აქტივობა!



იუმორისკა

უკვე გასაქანი მიეცა მშრომელთა ინიციატივას. თანდათან ახალ რელსებზე იწყეს გადასვლა სახალხო მეურნეობის დარგებმა თუ სხვადასხვა სამრეწველო ობიექტებმა. წავიდა ის დრო, როცა რაოდენობრივი მაჩვენებლებით ვიწონებდით თავს.

დაჩქარების ტაქტიკამ და სტრატეგიამ კიდევ უფრო გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი და კვლავწარმოება. სასტიკი ბრძოლა გამოეცხადა უმშრომელ შემოსავალს!! დღეს თუ კიდევ აქ-იქ ბოგინობენ უმშრომელი შემოსავლით ჯიბედასქვლებული ელემენტები, მათი დღეები დათვლილია!..

ჩვენ ახლა არ შევუდგებით იმის ჩამოთვლას, თუ რა წარმატებებს მიაღწიეს ცალკეულმა საწარმოებმა, როგორ გაჯანსაღდა საზოგადოებრივი კლიმატი ამა თუ იმ კოლექტივში. ისიც კარგად ვიცით, რომ ადამიანის ფსიქიკის გარდაქმნას უფრო მეტი დრო სჭირდება, ვიდრე წარმოების რომელიმე დარგისას!

მიუხედავად ამისა სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბევრმა საწარმომ, ორგანიზაციამ და შრომითმა კოლექტივმა შეძლო ამ უმოკლეს ხანში ძირეულად გარდაქმნა თავისი მუშაობა. პირდაპირ გული გწყდება, სად იყვნენ აქამდე ეს ადამიანები, თუკი ასე სწრაფად შეეძლოთ გულგრილობის, ფორმალიზმის, თვითკმაყოფილების ყინული გაეღლოთ?

მთლიანად გარდაქმნეს მუშაობა სანეპიდსადგურის მუშაკებმა; ამ კოლექტივის თითოეული რგოლი, თითოეული წევრი ახლებურად აზროვნებს. წავიდა ის დრო, როცა მასობრივ ინფორმაციათა საშუალებანი, რადიო იქნება ეს, ტელევიზია თუ პრესა, ერთმანეთს ეცილებოდნენ ამ ორგანიზაციის მიმართ კრიტიკული შენიშვნების გამოთქმაში.

სანეპიდსადგურის მუშაკებმა შემოქმედებითად გარდაქმნეს საქმიანობა. ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მინიმუმამდე დავიდეს მომჩივანთა რიცხვი.

აქვე ისიც გვინდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი პრობლემა მათაც აწუხებთ. ეს არის სხვადასხვა ინფექციურ დაავადებათა გადამდები ბუზებისა და ვირთხების პრობლემა, რომელიც ძველებურად ძალაში რჩება. მეტიც, ბოლო მონაცემებით, მას შემდეგ, რაც თითქმის მთლიანად გარდაიქმნა ამ ორგანიზაციაში მუშაობა და გაჯანსაღდა კოლექტივში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, ზოგიერთ ახალ მიკრორაიონში იმატა კიდევ ბუზებისა და ვირთხების რიცხვმა!.. მაგალითად, ნუცუბითია ფერდობის მე-2 მიკრორაიონის მე-4 კვარტალში თუ გასულ წელს აღირიცხებოდა 120 755 891, ბუზი და 723 923 ვირთხა, ბოლო მონაცემებით პირველის რიცხვმა იმატა 120 ათასით, ხოლო მეორისამ – 78 ათასით.

ასევე მთლიანად გარდაიქმნა მუშაობა დასუფთავების ტრესტის მძლავრ კოლექტივში, თუმცა ნავგის დროულად გატანისა და ქალაქის დასუფთავების პრობლემა აქაც ძალაში რჩება.

ჩვენ ვილაპარაკეთ მხოლოდ ორ ორგანიზაციაზე, თუ როგორ გარდაიქმნა ამ კოლექტივებში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, რომელმაც მთლიანად ახალ პლატფორმაზე დააყენა მათი საქმიანობა. მომავალშიც შევეცდებით სისტემატურად გავაცნოთ სხვადასხვა კოლექტივები, რათა სტიმული მივცეთ მათ შემოქმედებით შრომას!

ნოვადი ბართაია



პაროსტიკები

დაუდევრობის ეპოლეუსია, ანუ დაკარგული ზნეობა

დაუდევრობამ წარმოშვა აღვირახსნილობა,
 აღვირახსნილობამ გზა მისცა კარიერისტობას,
 კარიერისტობამ შობა აშპარტანობა,
 აშპარტანობამ დაამკვიდრა რუტინობა,
 რუტინობამ შეისისწლხორცა გულგრილობა,
 გულგრილობამ იძმო უპასუხისმგებლობა,
 უპასუხისმგებლობამ თვითმიზნად დაისახა ლოიალობა,
 ლოიალობამ მოდუნების ელექსირი ასვა ინერტულობას,
 ინერტულობამ მყუდრო საბუღარი აუგო ზერელობას,
 ზერელობამ მრუდ პორიზონტზე ამოატივტივა ნიველირება,
 ნიველირებამ ფრთები შეასხა ეტიკეტურობას,
 ეტიკეტურობამ თბილი ქურქი ჩააცვა ობივატელობას,
 ობივატელობამ ინკუბატორში მოათავსა ბიუროკრატობა,
 ბიუროკრატობამ უნაკლოდ გამოჩეკა ამორალურობა,
 ამორალურობამ კი გამარჯვების აღლუმში გაუმართა დაკარგულ
 ზნეობას – თავის თავს.

აპაქი ბორჩინაძე

X X X

ბარდაქმნა საჯაროდ ფლავის ჭამა არაა,
 არადა ზოგიერთები გაუზარმაცდიო!
 რატომ არ უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენს გასაკეთებელს სხვა
 გააკეთებს?

ღემოკრატისში გვაძლევს ბურთსა და მოედანს,
 აბა, ხელგაუწრველად მოდის რამე?
 ქალაქი ქალაქს დავამსგავსოთ, სოფელი – სოფელს!
 მაღალი დისციპლინით, მაღალი ხარისხით
 ნამდვილად გავალამაზებთ ჩვენს ცხოვრებას, მომავალს!
 ავენიოთ, მაშ, ცეცხლად და გამოვიწროთ ფოლად!

ჯონი ბაზუარაშვილი

«ნიანგის» სარეკლამო-საინფორმაციო ცენტრი



ქ. თბილისის ბუზების შრომითი მოწყობის საკოორდინაციო ცენტრის ბიულეტენი

ქ. თბილისის ბუზების შრომითი მოწყობის საკოორდინაციო ცენტრმა თავის მორიგ სხდომაზე განიხილა ნუცუბიძის პლატოს მეოთხე მიკრორაიონის მცხოვრებთა საჩივრები, სადაც ლაპარაკია ქალაქის ამ ახალი, თუმცა არც ისე ახალი, დასახლების ბუზებით მომსახურებაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, რაც გამოიხატება კვალიფიციური კადრებით საცხოვრებელი სახლებისა და საყოფაცხოვრებო ობიექტების არასწორ, არასრულ დაკომპლექტებაში.

სხდომაზე განხილულ იქნა ცალკეული შემთხვევები, როცა აღნიშნული მიკრორაიონის ზოგიერთი მცხოვრები იჩენს კერძო ინიციატივას ბუზების კადრების გადაბირებაში, რაც გამოიხატება იმაში, რომ ისინი ყიდულობენ ქალაქის ცენტრში ხორცს, თევზს, პურსა და ბოსტნულს და შეუფუთავად უკავიათ ავტობუსის გაჩერებასთან.

მათი მხრივ ეს ვახლავთ წმინდა წყლის პროვოკაცია, რომლის მიზანია მოსწყვიტოს სამუშაოს აქ დასაქმებული ბუზები და ზევით პლატოზე გადაიყვანოს. დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ ასეთი ცდები სრული მარცხით მთავრდება, რადგან № 81 ავტობუსის ხანგრძლივ ლო-

დინში ბუზებს თავზე საყრელად აქვთ იმის დრო, რომ კარგა გვარიანად გაძღნენ ხორცეულ-თევზეულ-ბოსტნეულთ, დესერტიც მიირთვან და დაიშლონ. დღემდე ვერც ერთმა ბინადარმა ვერ შეძლო საკვებ-მისაძეუბლით თუნდაც ერთი ბრუციანი ბუზის აყვანა დანიშნულების ადგილამდე.

ალბათ ამ მწარე გამოცდილებამ დაარწმუნა ისინი, რომ ასეთი პარტიზანული გამოსდომებით ფონს ვერ გავლენ და იძულებული გახდნენ მოემართათ ჩვენთვის.

ჩვენ ვგვისმის, რომ ნორმალური ცხოვრებისათვის საჭირო და აუცილებელია მშრომელთა მომსახურების სფეროში დასაქმებულ იქნეს რაც შეიძლება მეტი ბუზი, როგორც ჩვეულებრივი, ასევე მწვანე, კვერცხისმდებელი, შემოდგომის მკბენარა, გაზაფხულის ხარბუზა, ზაფხულის ბუზანკალი, ყველა დროის ქინქლა, ბურნა და კოლო, რომელთაც სხვადასხვა ყოფითი და სამსახურებრივი ფუნქცია აკისრიათ, მაგრამ...

სხდომის მონაწილეებმა დიდი გულისტკივილით აღნიშნეს, რომ, სამწუხაროდ, ჩვენ არა ვგაქვს საშუალება, დღევანდელ ეტაპზე ნორმალურად მოვამარაგოთ საჭირო კადრებით აღნიშნული დასახლება შემდეგი ტექნიკური მიზეზების გამო:

აღნიშნულ დასახლებას ერთი ხუთწლედის ისტორია აქვს, მაგრამ ამ ისტორიაში სულ არ ჩანს ისეთი საზოგადოებრივი მოვლენები, როგორცაა სასადლოს, ბუფეტის, სასურსათო მაღაზიის, ბოსტნეულის, გასტრონომის, ბოსტანბაზის, ტარაბაზის, ბაკალეის, ხორცისა და თევზეულის მაღაზიების გახსნა, რომ აღარაფერი ვთქვათ ბუზებისათვის ისეთ შრომატევად ობიექტებზე, როგორცაა სახინკლე, საპელმენე, საჩებურეკე, სალობიე, საქაბაბე...

არ არის არც ერთი საგაზეთო ჯიხური, წიგნების მაღაზია, ბიბლიოთეკა, რათა წესიერად მოაზროვნე ბუზმა რაციონალურად გამოიყენოს თავისუფალი დრო, ჰქონდეს იმის საშუალება, რომ მუცლის ტკივილის დროს ტელეფონით დაუკავშირდეს სამედიცინო და სხვა დაწესებულებებს, გამოუძახოს „სასწრაფოს“, იმგზავროს სამარშრუტო ტაქსით, ნახევარექსპრესით, რაზეც აქაურებს წარმოდგენაც არა აქვთ.

ამ და სხვა მიზეზების გამო, რომელთა დასახელება შორს წაგვიყვანდა, გამომდინარე ჩვენი მუშა-კადრების საყოფაცხოვრებო ინტერესებიდან, სხდომამ უარი თქვა აღნიშნული მიკრორაიონის ბუზებით დაკომპლექტებაზე იმ დრომდე, სანამ იქ არ შეიქმნება ცხოვრების ნორმალური პირობები.

ქ. თბილისის ბუზების შრომითი მოწყობის საკოორდინაციო ცენტრის მმართველი — მუხა ბუზალაძე.

კადრების ინსპექტორი — ცეცე კოლონია ბიულეტენი ბუზანკალურიდან თარგმნა მერაბ ელგუჯაურმა.



უსიტყვოდ

საქმენი გარდასაქმენი

● შარშან გტანჯავდა ინფარქტი,
შეპნარ შეორედ მოსვლად!..
მაგრამ რით ავსნა ის ფაქტი,
ყოველდღიურად რომ სვამ?!

● ის იმსახურებს ათას საყვედურს
(მოკლა სარკეში მუდამ ყურებაში!)
ორმოცი წელი უქმად იყო და...
ამჟამად ითხოვს დამსახურებას!

● რაც მართალი, მართალია, —
დახლზე ქვეყნის ფართალია!..
მაინც ციფქნა სარკმელისთვის
ვერ იყიდა ფარდა ლიამ!..

● ჩამოწერა დანაკლისი,
„პრავისა“ და „ლევის“ სია!..
ბოლოს მაინც „ხელის ჭუჭყმა“
დაამშვიდა რევიზია!..



● სიტყვების კორიანტელი,
წარღვნა, მეწყერი, ნამქერი!..
გამოღმით შენ ხარ, გაღმით კი —
საქმენი გარდასაქმენელი!

● აღარც მძღოლმა, აღარც მგზავრმა
წვეთი ღვინო არ დალია! —
ეს კარგია, მაგრამ ამან
მასპინძელი გადარია!..

● აპატიეს ათჯერ, ასჯერ...
განა ამ ცხვარს? — არა, — იმ შველს!
მოსუცდა და... ხელეებს იქნეს:
საპატიოს ითხოვს სიგელს!

● კი, სამსახურში დროზე ცხადდება,
ერთი წამითაც არ აგვიანებს,
მაგრამ ჭორებით დაღამებამდე
უსაზღვრო სივრცეს ანაგვიანებს!..

● არა ერთ და ორგან ისმის:
„სმა მტერია ორგანიზმის!“
მაინც არის შეჯიბრება
ყანწითა და ბოკალით სმის!..

● არ სჭირდება ლაი-ლაი,
არ სჭირდება დამტკიცება! —
დღეს უშმაკმა წამიკითხა
ქრისტე-ღმერთის ათი მცნება!..

● ამხანაგმა ამხანაგი
მიუყენა ამხანაგს!..
ჰოდა, ერთი ამხანაგი
ცინეში ზის ამხანად!..

● მთელი ცხოვრება ვდავობთ:
როგორ ვასწავლოთ ბავშვებს
ისე, რომ მათი შვილნი
უსწავლელნი არ დაგვრჩეს!

● „ქართული სუფრა აკადემია!“ —
სმაურობს ჭიქა, ჩანგალი და კოვზი!..
ეს თუ ასეა, ყველა ქართველი
მაშინ ყოფილა აკადემიკოსი!

● „სიტყვას პლუს საქმე!“ —
მილიონჯერ ითქვა!..
გამეგონოს სადმე:
„საქმეს პლუს სიტყვა!“

● დოკუმენტების მეწყერი
ჩამოწვა!.. აღარ ილევია!..
ანდერძად რჩება შვილიშვილს
ბაბუის დადგენილება!..

ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი




● „ზემოდან“ „ქვემოთ“ დარეკა
და „ქვემოთ“ „ზემოთ“ უსმინა!..
რა შუაშია, ვინ იყო —
პეტრე, პავლუშა თუ ზინა?!

● მეტი — ტაქსისტს, პარიკმანერს,
აღარც სხვებთან გვწყალობს ბედი!..
გულზე ხელი დავიდლოთ და —
სომ არ მოგვდის შეტისმეტი?!




ნახ. გ. ლომიძისა



უსიტყვოდ

უკანასკნელი წლების მანძილზე მეტყველებაში დამკვიდრდა ახალი ტერმინი „დაკეტილი ბინა“. ეს არის საცხოვრებელი ფართობი, რომელზეც გამოწერილია ორდერი, მაგრამ იმის გამო, რომ პატრონებს იგი არ სჭირდებათ, მას არ იყენებენ. ამგვარი ბინების რიცხვი ნიადაგ იზრდება, მათ შორის თბილისშიც, სადაც აღმოჩენილია 300-ზე მეტი ხანგრძლივი დროით დაკეტილი ბინა.



არც თვითონ ცხოვრობს, არც სხვას აცხოვრებს..

საქართველო-ნათყობი საქართველო

ლომონა

X X X

ეს ცხოვრება გვათამაშებს, თუ არ გჭერა, სხვებსაც შეხე!
 საქმე სწორედ არს ამაში და ვერ მოსჭამ ვერვის ფეხებს!..
 მართალი რომ გაიროზგა, უველამ ნახა დღისით, მზისით!..
 პირიქითაც მოხდა ზოგან, მაგრამ არ მომხდარა მზისით!..
 ეს ცხოვრება ფლიდი არი და თუ მკითხავთ, უფრო მეტიც!..
 სად ღარიბი, სად მდიდარი, სად სატანა და სად ღმერთი?!
 ეს ცხოვრება კასრი არი, ვისთვის — კუპრი, ვისთვის — თაფლი!..
 ზოგჯერ არც კი გაზიარებს და მიწაში ცოცხლად ჩაგფლავს!..
 ეს ცხოვრება ძვრების არი, რომ გგონია, ისე არ ქრის!..
 თუ მოხუტე წამით თვალი, არ შეგხვდება წვეთიც თაფლის!..
 ეს ცხოვრება არის ბედიც, — მესმის, პასუხს ვერვის ვაძლევ, რადგან ვხედავ, ბევრი „ბედი“ მისჯდომია თბილ სავარძელს!..
 ეს ცხოვრება გვაბითურებს, უოველდღიურს გვიწყობს ომებს!..
 ვერიდები მელებს, ტურებს, გაურბივარ მკლებს და ლომებს!..
 არ ვარ სოლომონი, ბრძენი, მაგრამ ისიც შეცდა ერთხელ:
 — რად არ ჩაიგდებო ენას! — და სახეშიც თურმე ფერთხეს!..
 ამიტანა იქნებ წერამ, მგონი სახრჩობელაც მოჩანს!..
 ოლონდ სულ მართალი ვწერო და ფეხებსაც ვერვის მოშპამს!..

ფული

ამბობდნენ და ვერ ვირწმუნე, თუ ფულს სისხლი ჰქონდა მართლა და ვრითმავდი: „ფული — მუნი“, ვერ ავინთე ფული სანთლად!..
 არ მინებდა მაინც ფული, ლექსს რომ ვებრძვი სატიალეს!..
 განა კაცი — ხალხში ფული, მხოლოდ ფული დატრიალებს!..
 ჩვენი რომ ვთქვით ან — მარტივად, ვინ და ვის ვეძახით ვირებს? ვის სურს კოლპერატივი, თუკი ბაზარს გააძვირებს?
 ფიქრში თმები შემევერცხლა, ტბილი სიტყვით ვის რას აჟმევ?!
 ჩვენი ფული — არმად, ცეცხლად ჩვენი დროის ჩარჩ-ქორვაჭრებს!..
 არ გამოდის ფულის ზოგვა, არ შაურობს როს შაური და პენსიაც როცა ზოგს აქვს სახალწლო ინდაურის!..
 ფული დაღის აგარაკზე, კაის იცვამს, სვამს, ჭამს კაის!..
 ჩუ, ჩუ! მეც — ჩუ! — რა ხვალ, რა ზეგ? არ ვარ საშობაო კრავი!..
 თურმე გინდა გაქანება ტვინის, თავო, სატიალეს!..
 ფული იცვლის მანქანებს და ფული ყველგან დატრიალებს!..
 წლები ღნება ნება-ნება და სიცრუეს ვინ რა ვავნეთ?!
 ბაზარს ცეცხლი ეკიდება და სახანძრო აგვიანებს!..
 რა სიახლე ან რა ძვრები?! — ახლა კაცი დარღით თვრება!..
 ახლა მჭერა: შეიძლება ფულის სისხლის გათეთრებაც!..

თენგივ სვანაძე

თითი ფეხსაცმელი ხომ არ არის, გაცვდესო, იტყვიო!..

საქმე ის არის, რომ ამ თითის პატრონს ფეხსაცმელი არ ეცვა გაცვეთილი, არც პალტო, არც კოსტიუმი, არც მანქანა ჰყავდა გაცვეთილი, სულ ცინცხალზე იჯდა. და ყველაფერი ეს გაცვეთილი თითის წყალობით ხდებოდა!.. ამიტომ უყვარდა ეს თითი თავის პატრონს. აკოცებდა ხოლმე ხანდახან, გულზე მიხუტებდა და ჩაუფურუნებდა: „შენ გენაცვალე, შენ ჩემი ოჯახის მარჩენალი ხარ, შენი იმედით ვარ, შენი იმედით დავდივარ ამ ქვეყანაზე წელგამართული!“

ჰოდა, ერთ დღეს მისმა პატრონმა გაიფიქრა: ცოცხალი ეს თითი და სათითურს წამოვაცვამ, რომ მთლად არ გაცვდესო, მაგრამ ისევ გადაიფიქრა, შეფუთულ-შენიღბულს რომ ნახავენ, მიუხვდებიან თაღლითობასო!.. ჯანდაბას, იყოს ისე, ოცი წელი გაუძლო და კიდევ იმდენს გაუძლებს, მერე ან ვირი მოკვდება, ან ვირის პატრონიო!

მართლაც რომ ჭკვიანი იყო გაცვეთილი თითი. მისი პატრონი სასწორზე რომ ცხრასგრამიან საქონელს დადებდა ასაწონად, მოხერხებულად დასკუპდებოდა სასწორის თეფშზე და კილოგრამს ან კილო და ასს განდიდა. მერე ისევ ჩუმად დაუბრუნდებოდა თავის აღვილს და პატიოსანვით ამოუდგებოდა



იუმორისა

გვერდით თავის ამხანაგ თითებს. ასე იყო ყოველ აწონაზე, დილიდან საღამომდე, ყოველდღე!.. სამაგიეროდ გასამრჯელოც ხუთჯერ მეტი ჰქონდა, ვიდრე თავის პატრონს. მის პატრონს 80 მანეთი ეძლეოდა ხელფასი, ხოლო გაცვეთილი თითი ორი ათას მანეთს არ სჯერდებოდა თვეში!..

ერთ დღეს გაცვეთილ თითს დანაშაულზე წაასწრეს, როდესაც 250 გრამი მოიპარა. რევიზორმა მისი დასჯა მოინდომა, მაგრამ აცვივდნენ სხვა თითები მის დასაცავად: ხომ ხედავ, ინვალიდია, გაცვეთილია და თუ ციხეში ჩავარდა, მოკვდება, შენი ჭირიმე, შენ გენაცვალეო! — და მოლბა რევიზორი. მერე თითებმა რალაცა შეფუთეს და გაცვეთილი თით

თის სახელით პორტფელში ჩაუდეს. რევიზორმა ამოიღოთა პორტფელი და კმაყოფილი გაუდგა თავის გზას. გულში ფიქრობდა: მე ჩემი მივიღე და თითი კი არა, თუ გინდათ, თათი გაიცვითეთო!..

გაცვეთილი თითი დღესაც არხეინად გრძნობს თავს და ლღინებს: მე ვარ და ჩემი ნაბადი, თითსაც ვერაფერს დამაკარებთო!

ოთარ ნაჭყავია
(ქ. სოხუმი)

გამყიდველს

ორჯერ ორი კარგად იცი,
„გაქვს ნიჭი და ალღო“,
მაგრამ აი, სინდისით კი
როდი ბრწყინავ, „ბაღლო“!

ჭიბე რომ არ გამიცვიოთს
ამ ლითონის ფულმა,
არასოდეს არ მაკლია
შენი ძმური „ზრუნვა“!

თითებს გაპკრავ-გამოპკრავ და
„ჩოქის“ სვეტებს აგებ!..
საქმე განა ხურდაშია? —
შენ ღირსებას მაკლებ!

ამირან მიჩაუტაძე
(ქ. სოხუმი)



— გარდაქმნა თქვენ არ შეგეხოს?
— პირიქით, მე შევეხე გარდაქმნას, თავი საკუთარ ღუქანში
მგონია!



ნახ. მ. აბაშიძისა

**ფასების დამახინჯებელ-
წამებაბაელ-წამებლავის ახალი
სიძღვარა
შესრულდება ჩონგურზე**


ფასზე ვინა თქვა მახინჯი?
ყოველი ფასობს ფასებით!
აბა, საიდან მოვხვეტო
ასი ათასჯურ ასები?
ყოველ დროს ასე ყოფილა
ყველგან და, ჩვენშიც ასეა:
ყოველ საქონელს, ყოველ დროს,
ფასი აქვს, რაც ძვირფასია!
თუ რევიზორი ბევრია,
იმედის კიდევ ბევრია –
ღვინის მაგივრად, სულ დასტა
ფულით მისკდება ქვევრია!
თუ მახეს ვერ გაუქცევა,
ის ჩიტი რაღა ჩიტია?
ვაღფიციტებ საქონელს,
რაც არაღფიციტია!
საქონელიც რომ არ ყვირის?
საწყობ-სამალავს ფარულა,
ფესზე მკიდია მყიდველთა
სტომა-ჩივილი, მარულა!

გიორგი კახანაძე



— ამის გამყიდველი კიდევ იტყვი, გარდავიქმენიო?

ნახ. ი.ქეინაშვილისა



უსიტყვოდ

გაგონილ-გამოგონილი

- ასაქაფებელი კრემი არა გაქვთ?
- ჩვენ ხელის კრემი არა გვაქვს, ასაქა-
ფებელი კრემი იმ სექციაში არა აქვთ!..
X X X
- ჩქარი მატარებელი ნომერი ცამეტი,
მოსკოვი – თბილისი, იგვიანებს ოთხსაათნა-
ხევარს!..
X X X
- რა არის შიდსი?
- შეძენილი იმპორტული დეფიციტური
საქონელი!
X X X
- მამიკო, რატომ ამბობენ, ორშაბათი
თარსი დღეაო?
- იმიტომ, შვილო, რომ ორშაბათობით
გაზეთები არ გამოდის, თეატრები არ მუ-
შაობენ, ბიბლიოთეკები და სამკითხველოე-
ბიც დაკეტილია!..

გაიგონ-გამოიგონა ე. თაყაიშვილი

ყვესოყანი იუმორი



საბჭოთა და იუმორის
ჟურნალი „წიანავი“ №7
(1761). აპრილი გამოდის
1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გომეზაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადიეშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
ჭაბუა ამირეჯიბი, ნოზალი
ბართაია, ბორის გურგუ-
ლია, რევაზ თვარაძე, ჭე-
მალ ლოლუა, ნოდარ მა-
ლაზონია (მხატვარ-რედაქ-
ტორი), ალექსანდრე სამ-
სონია, ბუჯან სიხარულიძე
(მთავარი რედაქტორის მო-
ადგილე), ჭანსულ ჩარკვია-
ნი, თამაზ წიფწივაძე, ნა-
ფი ჭუსოიძე.

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გალეცა ასაწყობად
03.03. 88 წ. ხელმოწერი-
ლია დასაბუქდალ 13.04.
88 წ. ქალაქის ზომა
60x90¹/₈, ფიზიკური ნაბე-
ჭდი ფურცელი 1,5. სად-
რიცხო-საგამომცემლო თა-
ბახი 1,9, საქართველოს კ-
ცის გამომცემლობა,
ლენინის 14, შეკვ. 586
ფურცელი 04740 ტირაჟი 140000
ჟურნალი გამოდის თვეში
ორჯერ. რედაქციაში შემო-
სული მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008,
თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/მგ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მუშაკების — 99-02-38,
მდივან-მემაწიანის —
99-76-69.

Сатирико - юмористиче-
ский журнал «НИАН-
ГИ» (На грузинском
языке). Тбилиси, пр. Ру-
ставели № 42. Издатель-
ство ЦК КП Грузии,
Ордена Трудового Крас-
ного Знамени типогра-
фия издательства ЦК
КП Грузии, Тбилиси,
улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.
ინდექსი 76137

0 3 3 0

ბუნების დიდი მგოსანი
მოწყენით იჯდა ტვერში,
ალარ ამკობდა მიდამოს
მისი სიმღერის ეშხი!..
მწყემსმა, სათნომ და კეთილმა,
ბულბულს უცქირა დიდხანს
და ბუჩქის ძირას მინახულს
გაკვირვებულმა ჰკითხა: —
„რამ დაგაღონა, ბულბულო,
რამ დაგიღუმა ენა?
რატომ არ იხმის, გეთაყვა,
შენი ხმატკბილი სტვენა?
ჩააბულბულე ჰანგები,
გული ამივსე ლხენით,
ოქროსნისკარტა ფროსანო,
შენი ჰირიმე, შენი!“


ბულბულ

ბულბულმა თავი ასწია,
ხმა რომ გაიგო მწყემსის: —
„ამ ბაყაყების ხმაური
შენც ხომ მშვენივრად გესმის?
სწორედაც მათი ბრალია,
მათი ყიყინის ბრალი,
რომ აღარა მსურს გაღობა,
ვკარგავ სიმღერის ხალისს!“
მწყემსმა ღიმილით დასძინა: —
„გული იმაზე მწყედება,
შენი დუმბილის გამოა,
ყურს რომ მათი ხმა სწედება!“


236
25.10 88

პასტორი ეკითხება პატარა ბიჭს:
— ხომ ლოცულობ ჭამის წინ?
— არა! დედაჩემი კარგი მხარეულია!
— ვინმეს ხომ არ წაუკითხეთ თქვენი პოემა?
— არა!
— მაშ, რატომა გაქვთ თვალი დალილავებული?
— მისმინე, სტივ! მართალია, რომ ჯო ჩასვეს?
— კი, დიკ, ერთი კვირის წინ...
— მან კი მითხრა, ნახევარი წლით ძმასთან მივემ-
გზავრებო.
— სწორი ბრძანდებით, მისი ძმაც ზის.
—
**წინდა პეტრე სამოთხის კართან ცნობილ მხა-
ხიობს შესვდა.**
— აქ როგორ მოხვდით? — ეკითხება გაცეცხული
პეტრე.
— ეს სულ კრიტიკოსების ბრალია, მათ ამიყვანეს
ცამდე!
— გუშინ თეატრში თქვენი ცოლი ვნახე. ისე ახვე-
ლებდა, რომ ყველა მისკენ იხედებოდა. რა, გრიპი
აქვს?
— არა, ახალი კაბა ეცვა!..
— იცი, ძვირფასო, ცხოვრება ძალიან სულელურად
არის მოწყობილი.
— რატომ ფიქრობ ასე?
— ყველაფერი, რაც მიყვარს, ან უზნეოა, ანდა მასუ-
ქებს.
— მერი, მგონი ჩვენმა თეთრმა ვარიამ მოიწყინა,
ჩახოხბილი ხომ არ გაგვეკეთებინა მისგან?
— თუ გგონია, რომ ამით ხასიათზე, მოიყვან, მაშინ
მიდი!..
— იცი, რა არის ყველაზე ძნელი ჩვენს მუშაობაში? —
ეკითხება ცოლს ფარმაცევტული ფირმის თანამშრომე-
ლი.
— არა.
— ერთი და იმავე წამლისათვის ახალ-ახალი სახე-
ლებების მოგონება.

თარგმნა სულხან ჯორჯანელი



გერმანიულიდან გადმოაქართულა
შოთა ამირანაშვილმა



პოლიტიკური ფელეტონი

მისტერ ჯორჯი იმ საშუალო ამერიკელთა კატეგორიას ეკუთვნის, რომელთა ოჯახის ბიუჯეტი პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია ამერიკის შეერთებული შტატების ამა თუ იმ პრეზიდენტის პოლიტიკასთან.

ამ დასკვნამდე მისტერ ჯორჯი დიდი ხნის წინათ და ხანგრძლივი დაკვირვებით მივიდა.

იგი ცხოვრობდა პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტის დროსაც, როდესაც ქუჩებში ლოზუნგები გამოკიდეს, რომლებზეც პრეზიდენტის სიტყვები იყო წარწერილი: — ფრანკლინ რუზველტი ამერიკელებს აღუთქვამდა — მალე ქვაბში ორი წიწილა და გარაჟში ორი მანქანა გეყოლებათ!

ორისა რა მოგახსენოთ, მაგრამ პრეზიდენტის დაპირება სანახევროდ რომ შესრულდა, მისტერ ჯორჯი ამითაც კმაყოფილი დარჩა, იგი თავმდაბალი კაცი იყო და ერთი წიწილა და ერთი მანქანა სრულიად აკმაყოფილებდა მის მოთხოვნას.

მისტერ ჯორჯი ცხოვრობდა პრეზიდენტ ტრუმენისა და ეიზენჰაუერის დროსაც, როცა ცივი ომის სამხედრო მანქანამ მის ჭიშკართანაც ჩაიჭროლა და მოკლე უწყება დატოვა — ამიერიდან ყოველგვარი გადასახადი 20 პროცენტით მეტი უნდა გადაიხადო, ვიდრე აქამდე იხდიდი!

მისტერ ჯორჯის ქვაბსა და გარაჟს აშკარად დაცარიელების საფრთხე დაემუქრა.

იგი ცხოვრობდა პრეზიდენტ ჯონსონის დროსაც, როცა პენტაგონის განცხადებით, „ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროებას საფრთხე შეუქმნეს ვიეტნამელმა პარტიზანებმა“ და მათ მოსაგერიებლად პრეზიდენტი იძულებული გახდა კვლავ ჯორჯის ქვაბში ჩაეყო ხელი და მისი გადასახადები კიდევ ოცი პროცენტით გაედიდებინა.

იგი ცხოვრობდა პრეზიდენტ ნიქსონის დროსაც, როცა ამერიკის შეერთებული შტატების სასიცოცხლო ინტერესებს საფრთხე შეექმნა მისგან ათასეული მილიონ დაშორებულ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში. ამასთან

დაკავშირებით პატრიოტული ვრძნობებით გაბრუნებული მისტერ ჯორჯის საფოსტო ყუთში კვლავ უწყება — გთხოვთ ყველა გადასახადი ამიერიდან კიდევ ოცი პროცენტით მეტი გადაიხადოთ, ვიდრე აქამდე იხდიდით, რადგან ზიმბაბველი პარტიზანები რალაც საექვოდ იქცევიან, ყოველდღე მათს თავდასხმას მოველით და თქვენს წვლილს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში! ჰოვა დრო და ღირსეულად დავაფასებთო!

იგი ცხოვრობდა პრეზიდენტ კარტერის დროსაც, როცა კვლავ შეახსენეს, სულ რალაც ათიოდე პროცენტით მეტი გადასახადის გადახდა მოგიწევთ, რადგან პრეზიდენტმა გადაწყვიტა შექმნას სწრაფი რეაგირების კორპუსი — ვინ იცის, სად დაგვჭირდესო!

ერთი სიტყვით, მისტერ ჯორჯმა კარგა ხანია მაგრად შემოიჭირა ქამარი და დაიწყო ცდა — ვის აირჩევდნენ პრეზიდენტად და კიდევ რა ხათაბალაში გააბამდა თავის ხალხს სახელმწიფოს ახალი მეთაური.

მისტერ ჯორჯი ყოვლად პატიოსანი საშუალო ამერიკელი იყო და მასში კარგა ხნის წინათ ჩაკვდა პოლიტიკური ვნებები, იგი არჩევნების დღეს შინ დარჩა და ხმა არც ერთი კანდიდატისათვის არ მიუცია, თუმცა ვილაც-ვილაცებს მაინც აღმოაჩნდათ საამისო სურვილი და პრეზიდენტად რეიგანი აირჩიეს.

...და, აი, ახალი პრეზიდენტი ტელევიზორის ეკრანიდან უღიმის ამერიკელებს, მათ შორის მისტერ ჯორჯსაც. მისტერ ჯორჯი კი პატიოსანი კაცია და უხერხულობასაც კი განიცდის პრეზიდენტის დანახვისას — მას ხომ არჩვენებში მონაწილეობა არ მიუღია!..

რონალდ რეიგანი კი საერთოდ ვერ ამჩნევს მისტერ ჯორჯს, იგი თეთრ სახლში პოლიუდის მრავალწლიანი პრაქტიკით მივიდა და თავის სიცოცხლეში პირველად შეუდგა მთავარი როლის თამაშს, თუმცა ამერიკის პოლიტიკურ სცენაზე ყოფნა ათასგზის უფრო რთულია, ვიდრე პოლიუდის პავილიონებში კოვბოების როლების თამაში.

მისტერ ჯორჯსაც ეს ყველაფერი უკვე აღარ აღელვებს, რადგან ის, რაც სადღაც ზევით ხდება, მისი ნებისა და მონაწილეობის გარეშე ხდება და მის არსებობას, უბრალოდ, ანგარიშს არავინ უწევს. ერთადერთი, რაც კვლავ ძალაში რჩება თვით პრეზიდენტ რუზველტის დროიდან, ის არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ამა თუ იმ პრეზიდენტის პოლიტიკა მისტერ ჯორჯის ოჯახის ბიუჯეტის პირდაპირპროპორციულია.

არამისტერი ჯორჯი

